პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 20 0000981823

13/10/2020

**„შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადე-ბის/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბერი.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის №980989 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ტალიაშვილი ნინო

**დანართი**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0000425 | ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 19 | ქართული | 21 | თბილისი, ლ. ქიაჩელის №28 |